**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეორე  დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორები:** ბ. ა., ე. მ.

**საჩივრის ავტორთა წარმომადგენელი:** ადვოკატი ნ. მ. /სიითი N /

**საჩივრის ავტორთა  თარჯიმანი:** ა. ფ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 22.12.2020

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 103/20

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ /სიითი №/

**ადვოკატის წარმომადგენლები:** ადვოკატი ი. ბ. /სიითი N, ადვოკატი თ. გ. /სიითი N /

**საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 22 დეკემბერს საჩივრით მომართეს ბ. ა.-მა და ე. მ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ გ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2021 წლის 26 მარტის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, მომჩივნებმა თარჯიმნის ა. ფ.-ის დახმარებით და მათმა წარმომადგენელმა ადვოკატმა ნ. მ.-მ დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის „ვ.-ის“ გამოყენებით წარმოადგინეს ზეპირი ახსნა-განმარტებები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 04 თებერვალს დააკავეს ბ. ა.-ის შვილი და ე. მ.-ს მეუღლე - ნ. ა.. მომჩივანთა ახლობლის ჰ. ფ.-ის რჩევით, ნ. ა.-სთვის სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების განხორციელებისთვის ბ. ა.-მა და ე. მ.-მ მიმართეს ადვოკატ გ. გ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორებმა ადვოკატს მისი მოთხოვნისამებრ ჰონორარის სახით ხელზე გადასცეს 2000 ლარი, რა ფარგლებშიც ადვოკატს უნდა გაეწია სრულად იურიდიული მომსახურება. აღკვეთი ღონისძიების სახით მსჯავრდებულ ნ. ა.-ს შეეფარდა წინასწარი ორთვიანი პატიმრობა. საჩივრის ავტორებს ადვოკატმა გ. გ.-მ გარანტია მისცა, რომ ნ. ა.-ს პატიმრობიდან გაათავისუფლებდა. შემდგომ, საჩივრის ავტორებს ადვოკატმა დამატებით 10 000 აშშ დოლარი მოსთხოვა იმ მოტივით, რომ „საქმეს სჭირდებოდა“, თუმცა ბ. ა.-მა აღნიშნული თანხის ადვოკატისთვის გადაცემა ვერ შეძლო, რის შემდეგაც ადვოკატმა 10 000 ლარი მოსთხოვა საჩივრის ავტორებს და განმარტა, რომ აღნიშნული თანხა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის იყო საჭირო, რადგან გარემოება შეიცვალა და „რეალური სასჯელი იქნებოდა დაახლოებით 5 წელი“. მომჩივანთა წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატმა გ. გ.-მ 19 000 ლარი მოსთხოვა და ამ თანხის მიღების მიზანი ამ ფორმით განმარტა: „საქმე რომ გავაკეთო“.

1.4 საჩივრის მიხედვით, საჩივრის ავტორებმა ადვოკატ გ. გ.-ს ორ ეტაპად გადასცეს მოთხოვნილი თანხა. პირველ ეტაპზე 5000 ლარი ხელზე, მეორე ნაწილი კი ე. მ.-ს საცხოვრებელ ბინაში, აგრეთვე ხელზე. საჩივრის ავტორების მოთხოვნის მიუხედავად, ადვოკატმა თანხის მიღების ხელწერილი არ გააფორმა და განაწყენდა, თუ რატომ არ ენდობოდნენ. საჩივრის ავტორთა წარმომადგენლის განმარტებით, მომჩივნებმა პირველ ეტაპზე ადვოკატს ხელზე გადასცეს 5000 ლარი, მეორე ეტაპზე - 10 000 ლარი, ჰ. ფ.-ს გადასცეს - 7 000 ლარი. საჩივრის მიხედვით, მათ ჰ. ფ.-ს იმ მიზნით გადასცეს თანხა, რომ ადვოკატსა და მას ერთობლივად „მოეგვარებინათ ნ. მ.-ს საქმე“.

1.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ე. მ.-ს მიერ წარმოდგენილი განმარტებით, ადვოკატ გ. გ.-ს პირველ ეტაპზე გადასცა 5000 ლარი, მეორე ეტაპზე - 10 000 ლარი, მესამე ეტაპზე - 4000 ლარი - სულ: 19 000 ლარი და დამატებით ჰონორარი - 2000 ლარი. ე. მ.-ს განცხადებით, ადვოკატმა გ. გ.-მ მას განუმარტა რომ აღნიშნული თანხები არ იყო მისი ჰონორარი, არამედ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას უნდა მოხმარებოდა.

1.6 მომჩივანთა წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატ გ. გ.-სთან საადვოკატო მომსახურებაზე შეთანხმებას ე. მ.-მ ისე მოაწერა ხელი, რომ ადვოკატს მისთვის აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსი არ განუმარტავს. კერძოდ, ადვოკატმა გ. გ.-მ ე. მ.-ს განუცხადა, რომ აღნიშნული შეთანხმება ეხებოდა მისი მეუღლისთვის - 2 წლიან რეალური სასჯელს ან პირობით სასჯელზე შეთანხმებას, რა შემთხვევაშიც, ე. მ.-ს მისთვის უნდა გადაეხადა 20 000 დოლარი. ვინაიდან, ე. მ.-ს ინტერესი იყო, რომ მისი მეუღლე პატიმრობიდან გათავისუფლებულიყო, ამ მიზნით, მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, თუმცა ის არ იყო ინფორმირებული რომ ეს თანხა ადვოკატის ჰონორარს წარმოადგენდა. საჩივრის ავტორთა წარმომადგენლის განცხადებით, ასეთი ხელშეკრულების ბათილობის საკითხი უნდა დაისვას, თუმცა ამ ეტაპზე მომჩივნებს სამოქალაქო წესით აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნაზე სასამართლოსთვის არ მიუმართავთ.

1.7 ე. მ.-ს განცხადებით, ადვოკატ გ. გ.-ს 19 000 ლართან დაკავშირებით რაიმე წერილობითი შეთანხმება არ გაუფორმებია. 20 000 აშშ დოლარის მიღების თაობაზე არსებული ხელშეკრულების შინაარსი ადვოკატმა ქართულ-რუსულად განუმარტა და უთხრა, რომ აღნიშნული თანხა მისი ხარჯი იყო. ე. მ.-ს განმარტებით, მან ქართულად წერა არ იცის, თუმცა ადვოკატის მიერ ქართულად დაწერილი წინადადება გადაწერა და ხელშეკრულებაზე ხელმოწერაც ასახა.

1.8 საჩივრის ავტორებისთვის ადვოკატ გ. გ.-სგან მიცემული დაპირების მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, შედგებოდა საპროცესო შეთანხმება 5-6 წლიან რეალურ მსჯავრზე, 2020 წლის 11 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლომ ნ. ა.-ს შეუფარდა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. საჩივრის ავტორებმა ადვოკატს მოსთხოვეს გადახდილი 17 000 ლარის უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა უარი განაცხადა. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ე. მ.-ს განმარტებით, ადვოკატს მათთვის დასაბრუნებელი აქვს 19 000 ლარი.

1.9 საჩივრის ავტორთა განცხადებით, მიუხედავად ადვოკატის მიერ გასაჩივრების შესახებ მათი ინფორმირებისა, ადვოკატს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი არ გაუსაჩივრებია აპელაციის წესით. მომჩივანთა წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად ადვოკატ გ. გ.-ს მიერ საპროცესო ვადის გაშვებისა, მათი შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო ვადა სასამართლომ აღადგინა და შეძლეს აპელაციის წესით საქმის გასაჩივრება.

1.10 საჩივრის ავტორები ითხოვენ ადვოკატ გ. გ.-ს დისციპლინირებას და მისთვის გადახდილის თანხის უკან დაბრუნებას.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა 2020 წლის 29 დეკემბერს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, 2021 წლის 26 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში „ვ.-ის“ პლატფორმის გამოყენებით - ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატ გ. გ.-ს 2020 წლის 04 თებერვალს დაუკავშირდა საჩივრის ავტორების ახლობელი ჰ. ფ. და მიაწოდა ინფორმაცია ნ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატმა ჰ. ფ.-ს განუმარტა, რომ ნ. ა.-ის ინტერესების დაცვისთვის გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისთვის ჰონორარი შეადგენდა 20 000 აშშ დოლარს, აქედან, 2 000 ლარი უნდა გადაეხადათ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომამდე, ხოლო დანარჩენი 2020 წლის 01 ოქტომბრამდე. ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, ჰონორარი უნდა გადაეხადათ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გადაწყვეტილების მიღებამდე ერთ დღით ადრე.

2.3 ადვოკატს ჰ. ფ.-მა განუმარტა, რომ ნ. ა.-ის ოჯახი თანახმა იყო ჰონორარის გადახდაზე და მის მიერ შეთავაზებულ პირობებზე, რის შემდგომაც ადვოკატი რუსთავში, ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოში შეხვდა ბ. ა.-ს და ე. მ.-ს. ადვოკატმა გამოწერა ორდერი და შეხვდა მის დაცვის ქვეშ მყოფს, იმავე დღეს, ადვოკატი დაესწრო ნ. ა.-ის ბინის ჩხრეკას მის ოჯახის წევრებთან ერთად.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ე. მ.-ს მან გააცნო „საჰონორარო შეთანხმებისა და საადვოკატო მომსახურების“ თაობაზე ხელშეკრულება, რასაც ხელი მოაწერა და ჰონორართან დაკავშირებით მისთვის პრეტენზია არ გამოუთქვამს. ადვოკატის განცხადებით, ე. მ.-ს ქართულ ენაზე ეკონტაქტებოდა, რადგან მას კომუნიკაცია ქართულ ენაზე თავისუფლად შეუძლია საუბარი. ადვოკატის განცხადებით, მის მიერ ჰონორარის ხელზე მიღება და ამის თაობაზე ხელწერილის შეუდგენლობა არ წარმოადგენს მისი მხრიდან ეთიკის პრინციპების დარღვევას.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მას არც მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის და არც საჩივრის ავტორებისთვის საქმესთან დაკავშირებით გარანტია არ მიუცია, მათ შორის ნ. ა.-ის გათავისუფლების თაობაზე.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ბრალდების მხარესთან არაერთი მოლაპარაკება წარიმართა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, რასაც საჩივრის ავტორებიც ესწრებოდნენ. საპროცესო შეთანხმების

პირობებზე საუბარი მომჩივანების მიერ საქმის შედეგზე გარანტიად იქნა აღქმული. ნ. ა.-ის საქმეზე არსებული სასამართლო პროცესის ჩანაწერები ადასტურებს, რომ საპროცესო შეთანხმების შესაძლო გაფორმების თაობაზე საუბრობდა როგორც ბრალდების, აგრეთვე, დაცვის მხარეც.

2.7 ადვოკატი საჩივრის ავტორებს თანხის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას არ შეპირებია. ბრალდების მხარის პოზიციით შესაძლებელი იყო ნ. ა.-ის თანხმობის შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების გაფორმება სასჯელის ნაწილში 6 წლით თავისუფლების აღკვეთით, რაზეც ნ. ა.-მა მისმა ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს.

2.8 მომდევნო დღეს, აღკვეთი ღონისძიების სხდომაზე, როგორც ბრალდებულმა ასევე მისმა ოჯახის წევრებმა გამოხატეს მზაობა ეთანამშრომლათ გამოძიებასთან და მსგავსი ტიპის დანაშაულის ჩადენაში ემხილებინა სხვა პირი, თუ იქნებოდა რაიმე შეღავათები - იგულისხმებოდა საპროცესო შეთანხმება უფრო ნაკლებ სასჯელზე. ეს ინფორმაცია მომჩივნების თხოვნით, ადვოკატმა გ. გ.-მ მიაწოდა საგამოძიებო ორგანოს. აღნიშნულ საკითხზე საგამოძიებო ორგანოსთან შესახვედრად იმყოფებოდნენ ბ. ა., ე. მ. და ჰ. ფ..

2.9 ადვოკატი არაერთხელ შეხვდა გლდანის დაწესებულებაში მყოფ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, ასევე მისი ოჯახის წევრებს და ათანხმებდა საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის პირობებს.

2.10 ადვოკატის განმარტებით, ნ. ა.-ის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მხილებასთან დაკავშირებით გადაამოწმა საგამოძიებო ორგანომ და ვერ დადგინდა ის პირები, რომელთაც ნ. ა. მიუთითებდა, რის შემდეგაც ნ. ა.-ს საგამოძიებო ორგანომ არ გაუწია რეკომენდაცია პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

2.11 ჩაშლილი საპროცესო შეთანხმების შემდეგ, მომჩივნებმა კვლავ მიმართეს ადვოკატ გ. გ.-ს ეშუამდგომლა საპროცესო შეთანხმებისთვის და მიეცათ გარკვეული დრო რეალური ინფორმაციის მოპოვებისთვის - სხვა პირების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე. საგამოძიებო ორგანომ დანიშნა დამატებით ერთთვიანი ვადა თანამშრომლობისთვის. თუმცა აღნიშნული დროც გავიდა და პროკურატურამ უარი თქვამ საპროცესო შეთანხმებაზე. საბოლოოდ, ნ. ა.-მა აღიარა ბრალი.

2.12 ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ითანამშრომლებდა პროკურატურასთან და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სხვა პირველი მხილების თაობაზე იქნებოდა რეალური, ასეთ შემთხვევაში, გაუფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება. ვინაიდან, საპროცესო შეთანხმება ვერ გაფორმდა, ბ. ა.-მა გადაწყვიტა საქმეში ახალი ადვოკატი ჩართულიყო. საქმეში ჩართულ ახალ ადვოკატს თ. ბ.-ს დაუკავშირდა ადვოკატი გ. გ. და გააცნო საქმის დეტალები. მათ შორის გაიმართა მეორე შეხვედრაც, რომელსაც ესწრებოდა ბ. ა.-ც, ადვოკატმა მათ განუმარტა თუ რატომ ვერ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

2.13 ადვოკატმა გ. გ.-მ სასამართლოს მიმართა თვითაცილების მოთხოვნით, თუმცა მისი მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა, იმ მოტივით, რომ შესაძლოა, პანდემიიდან გამომდინარე რომელიმე ადვოკატი ცუდად გამხდარიყო განაჩენის დადგომა დაგვიანებულიყო. განაჩენის დადგომის შემდეგ, ბ. ა.-ს ადვოკატმა მისი მოთხოვნისამებრ დაუბრუნა საქმის მასალები. ბ. ა.-მა ადვოკატს განუმარტა, რომ საქმეში ჩაერთო ახალი ადვოკატი და ის დაეხმარებოდა განაჩენის გასაჩივრებაში.

2.14 2020 წლის 18 აგვისტოს ადვოკატ გ. გ.-სთან მივიდა ბ. ა. და მას ჰკითხა, თუ რატომ დადგა მისი შვილის მიმართ 14 წლიანი განაჩენი და მოითხოვა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განუცხადა უარი, ვინაიდან, ის იყო მისი შრომის საფასური. ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში,

თუ საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა ამ პირობებით მას სრულად უნდა აეღო 20 000 აშშ დოლარი, რასაც მოიცავდა საჩივრის ავტორთა მიერ გადახდილი თანხაც - 12 000 ლარი. კერძოდ, ადვოკატმა საჩივრის ავტორებისგან 2000 ლარი მიიღო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დანარჩენი 10 000 ლარი ორ ეტაპად გადაუხადეს.

2.15 ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულება მოიცავდა მხოლოდ პირველ ინსტანციაში საქმისწარმოებას. ადვოკატის განცხადებით, როდესაც მან საქმეზე დამდგარი განაჩენი ხელწერილით ჩაიბარა, იმ ეტაპზე ოჯახის წევრებს აღარ სურდათ მისი მონაწილეობა ამ საქმეში და მათი სურვილის წინააღმდეგ ვერ იმოქმედებდა. ადვოკატის განცხადებით, როგორც მას ახსოვს საქმეში ახალი ადვოკატი ჩაერთო, ამასთან, მისთვის უშუალოდ არ უთხოვია მომჩივნებს, რომ მას გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება და ამის ვალდებულება საადვოკატო მომსახურების შეთანხმებითაც არ ჰქონდა.

**3. მოწმე ი. შ.-ს ახსნა-განმარტება:**

3.1 2021 წლის 28 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე ი. შ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება. მოწმის განცხადებით, გ. გ. საადვოკატო მომსახურებას უწევს მის ძმას და მასთან კარგი ურთიერთობა აქვს. ი. შ.-ს განმარტებით, ის მისი ძმის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატ გ. გ.-სთან ერთად იმყოფებოდა ექსპერტ მ. ნ.-თან, რა დროსაც ადვოკატს დაურეკეს და მან კონკრეტული პიროვნებების მონაცემები ჩაინიშნა, შემდგომ მის ოფისში მივიდნენ ერთად, "რაღაც ფურცლები შეავსო".

3.2 მოწმის განმარტებით, მან ადვოკატი გ. გ. თავისი მანქანით ჩაიყვანა რუსთავში, კერძოდ, ადვოკატი იმყოფებოდა რუსთავის სამხარეო პოლიციაში და თავად გარეთ ელოდებოდა. ადვოკატს შენობიდან გამოსვლის დროს ახლდა ერთი ქალბატონი და პატარა ბიჭი. ორი-სამი დღის შემდგომ, ი. შ. იმყოფებოდა ადვოკატის ოფისში, რა დროსაც იქ მივიდა როგორც ახსოვს „ბ. და ე.", რომლებიც ადრე ნახა ადვოკატთან ერთად რუსთავში ყოფნის დროს. მოწმის განმარტებით, მათ შორის გამართული საუბრიდან ახსოვს ადვოკატის განმარტება, რომ „თუ ითანამშრომლებდნენ პირობები შესაბამისი იქნებოდა, სისხლის სამართლის საქმეზე გარანტიის მიცემა შეუძლებელი იყო...". მოწმის განცხადებით, „ბ. და ე." ქართულად საუბრობდნენ და მასაც გამოელაპარაკეს, თუმცა მათ იციან, თუ არა ქართულად წერა მისთვის უცნობია. ამასთან, ისინი არ იყვნენ წინააღმდეგნი ი. შ.-ს თანდასწრებით ესაუბრათ ადვოკატ გ. გ.-სთან.

3.3 მოწმის განცხადებით, ის ადვოკატ გ. გ.-ს მისი თხოვნით ფონიჭალაშიც გაყვა მანქანით, რა დროსაც ადვოკატმა შეამჩნია „ბ." და მას გაესაუბრა. ადვოკატს „ბ.-მა" უთხრა, ხომ არ ჰქონდა რომელიმე დეპუტატის საკონტაქტო ნომერი.

## II სამოტივაციო ნაწილი

**4. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:**

4.1 ადვოკატი გ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

4.2 ბ. ა.-მა და ე. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 22 დეკემბერს.

4.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. **შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზიით, ადვოკატმა გ. გ.-მ მათ გარანტია მისცა, რომ ნ. ა.-ის პატიმრობიდან გათავისუფლებას შეძლებდა, შედგომ კი ადვოკატი მათ დაპირდა, რომ საქმეზე საპროცესო შეთანხმებას გააფორმებდა, რის მიხედვითაც „რეალური სასჯელი 5-6 წლით" განისაზღვრებოდა:

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით" (აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი).

5.3 „ადვოკატმა კლიენტს უნდა აცნობოს ყველა იმ მოსალოდნელი რისკის შესახებ, რომელიც თან ახლავს კონკრეტული საქმის წარმოებას. წინასწარი ზუსტი პროგნოზის გაკეთება საქმის მსვლელობის შესახებ შეუძლებელია, ბევრი ისეთი საკითხი შეიძლება წამოიჭრას, რაც გავლენას მოახდენს დავის გადაწყვეტაზე". (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 28.02.2019 N084/18)

5.4 ,,გარანტიის მიცემის აკრძალვა არ გულისხმობს, რომ ადვოკატებმა არ აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული რისკების დონის და იურიდიული მომსახურების სავარაუდო დასრულების შესახებ მათი შეფასების თაობაზე. გარანტიის მიცემად განიხილება შემთხვევა, როდესაც ადვოკატი კლიენტს ჰპირდება საქმის წარმატებით დასრულებას და მოგების 100%- იან გარანტიას აძლევს." (ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010- 2013 წ.წ. გვ. 75)

5.5 დგინდება, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ 2020 წლის თებერვლის თვეში დაიწყო ბ. ა.-ის შვილისა და ე. მ.-ს მეუღლის - ნ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურება. მომჩივნების პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ საადვოკატო მომსახურების დაწყებიდანვე მისცა მათ გარანტია, რომ ნ. ა.-ის პატიმრობიდან გათავისუფლებას შეძლება, შემდგომ, კი განუმარტა, რომ გარკვუელი გარემობები შეიცვალა და საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძველზე რეალური სასჯელის სახით 5-6 წელი განისაზღვრებოდა. ადვოკატი არ იზიარებს საჩივრის ავტორთა პოზიციას და ის უარყოფს საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიის მიცემას (იხ.პუნქტი 2.7), არამედ, უთითებს, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოსთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და ამ მხრივ ის საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნ. ა.-ს. გარდა მომჩივნების პოზიციისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულება, მათ შორის რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატის მიერ საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიის მიცემის აკრძალვის ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევის დადგენა.

5.6 საჩივრის ავტორის ე. მ.-ს პრეტენზიით, ადვოკატმა არასწორად განუმარტა „საჰონორარო შეთანხმების" შინაარსი:

5.7 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).

5.8 „ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმები ავალდებულებს წინასწარ განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და გაანგარიშების წესი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს. დაუშვებელია ადვოკატმა მიუთითოს ჰონორარის ოდენობა და არ განუმარტოს კლიენტს მომსახურების ფარგლები, რომლისთვისაც განსაზღვრა ადვოკატმა მითითებული ჰონორარი. ამასთან, ადვოკატმა ცალკე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე N125/18, 13.11.18).

5.9 „ადვოკატმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და მისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს მოსალოდნელი ხარჯების ოდენობა, რადგან ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას, ხოლო ხარჯების სახით კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხა წარმოდგენს კლიენტის და არა ადვოკატის საკუთრებას, რის გამოც ამ თანხების - მინდობილი თანხების მიმართ ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ვალდებულებებს აწესებს ადვოკატისათვის“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

5.10 „ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა... კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მოაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #084/13).

5.11 საქმეში წარმოდგენილია „საჰონორარო შეთანხმება“ საადვოკატო მომსახურების შესახებ 04.02.2020, რომელზეც ხელმოწერას არ უარყოფს ე. მ., თუმცა უთითებს, რომ მისი რეალური შინაარსი ადვოკატს არ განუმარტავს. მომჩივანის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ე. მ. არ არის ქართული ენის მცოდნე, თუმცა მომჩივანი არ უარყოფს, რომ ადვოკატთან კომუნიკაცია ქართულ-რუსულად ჰქონდა. კერძოდ, უთითებს, რომ ის ინფორმირებული იყო ადვოკატისგან 20 000 აშშ დოლარის გადახდაზე, რომელიც საქმის წარმატების დასრულების შემთხვევაში უნდა გადაეხადა ადვოკატისთვის. ადვოკატ გ. გ.-ს მიერ საქმეში წარმოდგენილია „Youtube” არხზე განთავსებული ვიდეო *( https://www.youtube.com/watch?v=UtI-2pTWVVY 1:37)* , რომლის მიხედვითაც, ე. მ. ქართულ ენაზე საუბრობს.

5.12 ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან, დასტურდება, რომ ადვოკატისგან ე. მ.-ს არ ჰქონდა შეზღუდული გაცნობოდა ხელშეკრულების შინაარს, ამასთან, ის ადასტურებს რომ ქართულ-რუსულად ამყარებდა კომუნიკაციას ადვოკატთან, კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დასაბუთებული ვარაუდის ფარგლებში დაადგინოს, რომ ადვოკატმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მომჩივანს ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით, ამასთან, არსებობდა ენობრივი ბარიერი, როგორც ამას უთითებს მომჩივანთა წარმომადგენელი. ამასთან, კომისიის კომპეტენციას არ

განეკუთვნება შეაფასოს ხელშეკრულების ბათილობის საკითხი. მომჩივანთა წარმომადგენლის განცხადებით, შეთანხმების ნამდვილობის თაობაზე დავა სასამართლოში მხარეთა შორის ჯერ არ დაწყებულა.

5.13 საჩივრის ავტორთა პრეტენზიით, ადვოკატმა გ. გ.-მ მათ გამოართვა თანხა, რაც ნ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას უნდა მოხმარებოდა.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები .... რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები“ გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) 8.15 მუხლი).

5.15 „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16).

5.16 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18).

5.17 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №038/16).

5.18 „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს

ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში" (საქართველოს უზენაესმა სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმე #დს-შ/17-16) .

5.19 მხარეთა შორის სადავო არ არის  რომ პირველ ეტაპზე ადვოკატმა მომჩივნებისგან ჰონორარის სახით მიიღო 2000 ლარი, თუმცა სადავოა აღნიშნული თანხა იურიდიული მომსახურების რა ეტაპს მოიცავდა. საჩივრის მიხედვით, აღნიშნული თანხა საადვოკატო მომსახურების სრულად განხორციელებისთვის გადასცეს ადვოკატს, ხოლო ადვოკატი უთითებს, რომ მოცემული თანხა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომამდე ჰონორარს მოიცავდა.

5.20 მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებიდან ირკვევა, რომ ადვოკატ გ. გ.-ს ხელზე მომჩივნებისგან მიღებული აქვს 12 000 ლარი, თუმცა მხარეთა შორის სადავოა ჰ. ფ.-ისთვის  7000 ლარის გადაცემის ფაქტი. ადვოკატის მიერ მიღებულ  თანხების გადახდის ეტაპების და მისი მიზნობრიობის თაობაზე საქმეში სხვადასხვა პოზიციებია, მათ შორის ურთიერთსაწინააღმდეგოა მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი განმარტებები. ერთი მხრივ, საჩივარში მითითებულია, რომ ე. მ.-მ ადვოკატს გარდა 2000 ლარისა გადასცა ორ ეტაპად 10 000 ლარი არა როგორც ჰონორარის სახით, არამედ, „საქმის მოგვარებისთვის" და ჰ. ფ.-ს 7000 ლარი (იხ. პუნქტი:14) - სრულად 19 000 ლარი. მეორე მხრივ, ე. მ.-ს მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ზეპირი განმარტებით, საჩივარში მითითებული პოზიციისგან განსხვავებით, განმარტავს, რომ მან ადვოკატს სამ ეტაპად გადასცა თანხები - (იხ.პუქტი 1.5), სრულად 19 000 ლარი და დამატებით ჰონორარი 2000 ლარი. საჩივრის მიხედვით, ადვოკატს მათთვის დასაბრუნებელი აქვს 17 000 ლარი, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ე. მ.-ს განცხადებით, მათი მოთხოვნა ადვოკატისგან 19 000 ლარის დაბრუნებაა.

5.21 ადვოკატი უთითებს, რომ მის მიერ მიღებული თანხა 12 000 ლარი წარმოადგენდა ჰონორარს და მას წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქმისწარმოებისთვის სრულად უნდა მიეღო 20 000 აშშ დოლარი, რასაც მოიცავდა უკვე მიღებული ჰონორარი 12 000 ლარი. „საჰონორარო შეთანხმების" 04.02.2020 მიხედვით, ირკვევა, რომ  ჰონორარი მოიცავდა საქმეზე გამოძიების ეტაპსა და პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმეზე წარმომადგენლობას.

5.22 საქმეში წარმოდგენილია სხდომის ოქმები, რომლის მიხედვითაც  ადვოკატი გ. გ. ნ. ა.-ს წარმოადგენდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში (იხ.სხდომის ოქმები: 26.03.2020; 07.04.2020 - საქმის არსებითი განხილვა; 14.05.2020; 03.08.2020; 11.08.2020 ) 2020 წლის 03 აგვისტოს გამართულ სხდომას ადვოკატ გ. გ.-სთან ერთად ესწრება მეორე ადვოკატი თ. ბ. - ნ. ა.-ის ინტერესების დაცვის მიზნით გამოწერილი ორდერის საფუძველზე. აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატმა თ. ბ.-მა იშუამდგომლა გარკვეული პერიოდით სხდომის გადადების თაობაზე საქმის მასალების გაცნობის მიზნით, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ვინაიდან, საქმეზე ადვოკატი გ. გ.-ც წარმოადგენდა ნ. ა.-ის ინტერესებს.  რუსთავის საქალაქო სასამართლოში ნ. ა.-ის საქმეზე გამართულ შემდგომ  სხდომას 11.08.2020 ესწრება მხოლოდ ადვოკატი გ. გ.. აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატმა გ. გ.-მ განმარტა, რომ მისმა კლიენტმა - ნ. ა.-მა აღიარა დანაშაული და უდაოდ იქნა ცნობილი ფაქტები მის მიერ. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი და განმარტა მისი გასაჩივრების უფლება.

5.23 შედეგად, დასტურდება, რომ ადვოკატი შეთანხმების ფარგლებში საგამოძიებო ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის დასრულებამდე წარმოადგენდა ნ. ა.-ის ინტერესებს.

5.24 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ არ დასტურდება ადვოკატის მიერ მიღებული თანხების მიზნობრიობა წარმოადგენდა არა ჰონორარს, არამედ „საქმის მოგვარებას", მათ შორის უნდა მოხმარებოდა თუ არა „საპროცესო შეთანხმებას". ამასთან, გარდა მომჩივნების განმარტებისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება რითიც დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი და ჰ. ფ. ერთობლივად აწარმოებდნენ ნ. ა.-ის საქმეს და ადვოკატის მითითებით, მომჩივნებმა ჰ. ფ.-ს გადასცეს თანხა 7000 ლარი.

5.25 შედეგად, არ დასტურდება, ადვოკატის მიერ კონკრეტული თანხების მიღება, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, სახეზე იყოს კლიენტისთვის ფულადის სახსრების დაუბრუნებლობის ეთიკური ვალდებულების დარღვევა. ამასთან, კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე დავა, მათ შორის ადვოკატისთვის კონკრეტული თანხის დაკისრების განსაზღვრა არ წარმოადგენს ეთიკის კომისიის შეფასების საგანს.

5.26 საპროცესო კოლეგია მომჩივანთა მიერ მითითებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რაც ეხება ადვოკატისთვის გადახდილ თანხებზე წერილობით შეთანხმების არ არსებობას, განმარტავს, რომ აღნიშნულზე წერილობითი შეთანხმების ვალდებულება ადვოკატს არ მოეთხოვება და ამასთან, ადვოკატს შეუძლია ხელზე მიიღოს ჰონორარი, თუმცა მხარეთა შორის არსებული დავის პრევენციისთვის, მით უფრო ადვოკატის პროფესიული სტანდარტის უზრუნველყოფისთვის, რეკომენდირებულია შედგეს კლიენტისგან თანხის მიღების წერილობითი შეთანხმება, მით უფრო, თუ თანხების გადახდა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება ან საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით მიეთითოს ადვოკატისთვის გადარიცხული კონკრეტული თანხების მიზნობრიობა.

5.27 მომჩივანთა პრეტენზიით, ადვოკატმა არ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული განაჩენი.

5.28 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.29 „დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ კლიენტმა უნდა განახორციელოს. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა კლიენტი სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და ადვოკატთან შეთანხმებულ საქმეზე მიიღოს კვალიფიციური მომსახურება. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ." (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N153/13 01.08.2018 , პარ.6.4).

5.30 საჩივრის მიხედვით, ადვოკატმა გ. გ.-მ არ გაასაჩივრა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი აპელაციის წესით, თუმცა ადვოკატის მიერ საპროცესო ვადის გაშვების

მიუხედავად, სასამართლომ აღადგინა საპროცესო ვადა და ნ. ა.-ს შესაძლებლობა მიეცა აპელაციის წესით გაესაჩივრებინა განაჩენი. მხარეთა შორის გაფორმებული „საჰონორარო შეთანხმებით“ საადვოკატო მომსახურება შემოიფარგლებოდა პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებით, ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა, რომ მომჩივნები ადვოკატ გ. გ.-ს შეუთანხმდნენ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის 11.08.2020 გასაჩივრების და შემდგომში, აპელაციის ეტაპზე საქმისწარმოების თაობაზე.

5.31 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N103/20 ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა დისციპლინური გადაცდომის არარსებობის გამო.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/